სჯა-ბაასი გიორგი მალაშხიას ახალი წიგნების გარშემო



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზმეს-ინჟინერინგის ფაკულ-ტეტის მიერ 2013 წლის 20 დეკემბერს მოეწყო ცნობილი თეორეტიკოსის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიების წევრის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორ გიორგი მალაშხიას ახალი მონოგრფიების მკითხველებისთვის წარდგენა და განხილვა. ეს წიგნებია:

„მოგების მეტათეორია. ახალი ხედვა" (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე);

„სოციალური ენერგია. სიმდიდრე. კეთილდღეობა";

„ზომიერი ადამიანი" (ქართულ და ინგლისურ ენებზე)

„უქმი ეკონომიკა. კაცობრიობის ცხოვრების უკუღმართობა."

წიგნების წარდგენა-განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს ტექნიკური უნივესიტეტისა და სხვა უმაღლეს სასწავლებლების პროფესორები, სტუდენტი ახალგაზრდები და დაიტერესებული გარეშე პირები.

წარმოდგენილი წიგნების თემებმა და შინაარსმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

განხილვაში, ავტორის გარდა, მონაწილეობდნენ პროფეორები: ა. აბრლავა, ე, ბარათაშვილი, ვ. დათაშვილი, დ. იაკობიძე. ე. მენაბდე, ნ. ლაზვიაშვილი პ. ლემონჯავა, ა. სიჭინავა, მ. სიჭინავა, გ. ჯოლია, ზ. ღუდუშაური, ნ. ჩიკვილაძე და სხვები.

განხილვის მონაწლეებმა აღნიშნეს წარმოდგენილი წიგნების თემებისა და შინაარსის ორიგინალობა, ავტორის მიერ ჩატარებული კვლევებისა და მიღებული შედეგების ინოვაციური ხასიათი. ეს წიგნები წარმოადგენს გიორგი მალაშხიას საქართველოსა და მის გარეთ ცნობილი მონოგრაფიის „მეტაეკონომიკა - ეკონომიკის ფილოსოფია" და სხვა ნაშრომების იდეების გაგრძელება-გაფართოებას. ისინი შეფასებულლია, როგორც ახალი სიტყვა ეკონომიკურ მეცნიერებაში, შეიცავს არსებული



ეკონომიკურ-თეორიული დოქტრინების ალტერნატიული შეხედულებებს, გავრცელებული და აღიარებულია საერთაშორისო მასშტაბით.

ამჯერად წარმოდგენილ ახალ ნაშრომებში ავტორის მიერ გაღრმავებულია კვლევა დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ფუნდამენტური ასპექტების უფრო ღრმად წვდომის მიზნით, ვიდრე არსებული ცოდნა წარმოგვიდგება, კერძოდ, ახლებურადაა გააზრებული გაწეულ დანახარჯებზე მეტი შედეგის (წმინდა პროდუქტის, მოგების) წარმოქმნის , სიმდიდრის ზრდის პროცესი მისი წყაროს შესახებ ახალი მეცნიერეული კატეგორიის - სოციალური ენერგიის გამოყენებთ; ახსნილია დოვლათის შექმნაში სუბიექტების წვლილებისა და დოვლათის მათ მიერ მიღებული წილების ურთიერთ შეუსაბამობა, აქედან გამომდინარე, განაწილების უსამართლობა; ნაჩვენებია გაცვლის საბაზრო წესის (ფასწარმოქმნის) მანკირებანი; წარმოდგენილია მოხმარების არსებული წესის არარაციონალურობა, ამ პროცესში ზომიერების დარღვევა. ყოველივე ამის საფუძველზე დამაჯერებლადაა დასაბუთებული ადამიანთა კეთილ-დღეობის გამოუყენებელი რესურსების და მათი არაეფექტიანი გამოყენების, როგორც დიდძალი დანაკარგების მიზეზი, არსებულ ეკონომიური ურთიერთობათა მანკიერებანი, მათგან მომდინარე ეკოლოგიური და სოციოგენური საფრხები. დასაბუთებულია ამ სფრთხეთა თავიდან აცილებს აუცილებლობა კაცობრიობის გადარჩენისა და პროგრესისთვის.

წარმოდგენილ ნაშრომებში წამოყებეული და არგუმენტირებულია რიგი ახალი თეორიული დებულება, კატეგორია, რომლებიც ეკონომიკური და სოციალური მოვლენების ღრმა შემეცნებას და ეკონომიკური თეორიის განვითარებას ხელს შეუწყობს. კერძოდ, ასეთია: ახალი მოსაზრებები სოციალური ენერგიის ცალკეული წყაროების სრულიად ან ნაწილობრივ მუქთი ხასიათის, ამ ფაქტის საზოგადოების ცხოვრებისა და მისი პროგრესისათვის ფუნდამეტური მნიშვნელობის შესახებ; ზომიერების პრინციპისათვის ეკონომიკური შინაარსის გააზრება; უქმი ეკონომიკის - რეალური სარგებლობის არმომტანი ან საზიანო პროდუქტების წარმოების, გაცვლისა და მოხმარების არსებობის მიზეზებისა და შედეგების გამოვლენა; მომხმარებლის არარაციონალურობის, მოთხოვნილებათა ჩამოყალიბებაში ადამიანთა სუბიექტური ფსიქოლოგიური თავისებურებების, მენტალი-ტეტის და, აქედან გამომდინარე, ქცევის ხასიათის ეკონომიკური ინტერ-პრეტაცია; გონივრული (ჯანსაღი) და არაგონივრული (არაჯანსაღი) მოთხოვნილების არსებობის და მოხმარებაზე მისი გავლენის წარმოჩენა; საბაზრო მექანიზმის მოქმედების პირობებში მოთხოვნილებისა და მოთხოვნის ურთიერთისაგან დაცილების და საყოველთაო კეთილდღეობაზე მისი უარყოფითი გავლენის ჩვენება და სხვა. საბოლოოდ, შეფასებულია აღნიშნულ მოვლენათა გავლენა ცხოვრების წესზე, ცხოვრებისა და ეკონომიკის ჰუმანიზაციაზე, როგორც პროგრესის კრიტერიუმზე, კაცობრიობის მომავლისთვის მათი პოზიტიური ხასიათის უზრუნველყოფის მნიშვნელობა.

აღინიშნა გიორგი მალაშხიას ცალკეული თეორიული დებულების სადისკუსიო ხასიათი, რაც ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს მეცნიერების განვითარებისთვის.

გამოითქვა მოსაზრება ჩატარებული ღონისძიების სასარგებლო ხასიათის და ანალოგიური შეხვედრების გაგრძელების მზანშეწონლობის შესახებ.

პარმენ ლემონჯავა,
ვახტანგ დათაშვილი –
სტუ-ს პროფესორები